MES 2 21 0000657826

01/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 17.06.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:00 სთ
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:
1. **ნინოი მნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; **სხდომის თავმჯდომარე**
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

8. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
16. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
17. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი.

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	დავით ბურჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
5	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	I
2.	დიანა მჭედლიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	I
3.	იოსებ ნანობაშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	სამართლის სკოლის დეკანი	I
4.	ვახტანგ ზაალიშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
5	დავით მიქელაძე	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი; ბიოლოგიის(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;	II-III-IV-V-VI
6	რევაზ სოლომონია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები) სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.	II-III-IV-V-VI
7	ნიკოლოზ ონიანი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოლოგიის(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი; სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები,	II-III-IV-V-VI

			ნეირომეცნიერებები) სამაგისიტრო პროგრამის ხელმძღვანელი; მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი.	
8	ლალი შანშიაშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	გამოყენებითიბ იოქიმია და ბიოტექნოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	II-III-IV-V-VI
9	ნელი დათუკიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	II-III-IV-V-VI
10	დავით თარხნიშვილი	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	II-III-IV-V-VI
11	ქეთევან ლაკერბაია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	II-III-IV-V-VI
12	ნინო ჟვანია	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II-III-IV-V-VI

აკრედიტაციის ექპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მალხაზ ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ნათია ღაჭავა	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III-IV-V-VI
4	ზურაბ ქუჩუკიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
5	ელინა ბაქრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III
6	მარიამ აბულაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II-III-IV-V-VI
7	ელენე ჩერქეზია	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V-VI
8	თეა მჭედლური	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V-VI
9	ლევან ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV-V-VI

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ნინო იმნაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ, შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შედეგების განხილვა;
2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	2019 წლის 01 აპრილის N87 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	პაატა სააკაძის ქ. 1, ქ.თბილისი 0102, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

დიანა მჭედლიშვილმა განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი უშუალოდ არ განხორციელებულა, რამდენადაც მიმდინარე პროცესი უკავშირდებოდა მონიტორინგის განხორციელებას. შედეგად, პროგრამის მონიტორინგის პირობებში, შემოწმდა აკრედიტაციის მიღების დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულება. თავის მხრივ, მონიტორინგის პროცესი დაეყრდნო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაწესებულებისგან გამოთხოვილი დოკუმენტების ანალიზს. სამართლის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან მიმართება შემოწმდა მხოლოდ აკრედიტაციის დროს გაცემული რეკომენდაციების კონტექსტის გათვალისწინებით. მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული აკრედიტაციის სტანდარტების შედეგად, რამდენიმე რეკომენდაცია კვლავ იქნა გაცემული.

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "სამართლის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1.2. სტანდარტთან მიმართებით:

1. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შესამცირებელია (ზოგიერთი სწავლის შედეგის ამოღების ან გაერთიანება-გამსხვილების ფორმით), რამდენადაც წარმოდგენილ პროგრამას აქვს 28 დარგობრივი სწავლის შედეგი, რომ არაფერი ითქვას ზოგად 11 კომპეტენციაზე. შესაბამისად, რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ამ მიმართულებით გადაიხედოს და შემცირდეს;

2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლა კონკრეტულად განსაზღვრული შეფასება დაქვემდებარებული კომპონენტით მოწმდებოდეს (პირდაპირი შეფასების მექანიზმი). ასევე, უნდა დაკონკრეტდეს კონკრეტული სავალდებულო კომპონენტის რა ნაწილის შეფასებით დადასტურდება კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლა;
3. პროგრამის სწავლის შედეგები, ასევე, გადასახედია იმ მიმართულებით, რომელიც, მაგალითად, სწავლის შედეგების ექვსდონოვან ჩაშლას უკავშირდება. ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს ცვლილეებების შემდგომ, სწავლის შედეგების სამდონოვან საფეხურზე გადააწყობა რეკომენდირებულია;
4. პროგრამის სწავლის შედეგი („საკუთარი კვლევის შედეგების ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენას მეცნიერთა და სპეციალისტთა წრეში, მათ შორის, ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებზე“), გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებასა და პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსების ბადეს. კერძოდ, რთულია იმის დადასტურება, თუ რომელი სასწავლო კურსით შეიძლება პროგრამა გერმანულ ან ფრანგულ ენებზე კომუნიკაციის შედეგზე გავიდეს მაშინ, როდესაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობად სამართლის სადოქტორო პროგრამაშიც და დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტითაც მოთხოვნილია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. შესაბამისად, რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ამ მიმართულებითაც გადაიხედოს;
5. რეკომედნირებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი ტერმინი შეიცვალოს - Doctor in Law-ის ნაცვლად უნდა იყოს Doctor of Law.

2.2 სტანდარტთან მიმართებით:

1. რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში სასწავლო კურსის „სამეცნიერო წერის კულტურა და სამართლებრივი კვლევის მეთოდები“ დასახელება შეიცვალოს და აისახოს სილაბუსის სწორი სახელწოდება („სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები“).

სხდომის თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ ექსპერტთა ჯგუფს მიმართა განემარტათ, რომ დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული იყო 2019 წლის 01 აპრილის N87 გადაწყვეტილებით გაცემული რეკომენდაციები, თუმცა, მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დამატებითი რეკომენდაციების შემუშავება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა განმარტა, რომ დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციები შესრულებული იყო, თუმცა სრულფასოვანი შედეგისათვის საჭირო იყო დამატებითი რეკომენდაციების გაცემა და შესრულება.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელი, კავკასიის სამართლის სკოლის დეკანი, იოსებ ნანობაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნა აღნიშნავდა იმ პროგრესს, რომელიც განიცადა სამართლის სადოქტორო პროგრამამ განვითარების კუთხით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები იყო განმავითარებელი ხასიათის, რომელიც პროგრამას დაეხმარა მომავალი სრულყოფილი განვთარებისთვის და შედეგისთვის.

იოსებ ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ფიქსირდებოდა ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, კერძოდ, მეორე სტანდარტი შეფასებული იყო მხოლოდ ორი ქვესტანდარტით (2.2 და 2.3) აქედან გამომდინარე 2.3 ქვესტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, ხოლო 2.2 ქვესტანდარტი შეფასებული იყო როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აქედან გამომდინარე, მეორე სტანდარტი უნდა შეფასდეს როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი ცენტრის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს და მოხდა ხარვეზის გასწორება.

იოსებ ნანობაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაცი უკავშირდებოდა პროგრამის შედეგების ახალ ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება და ახალ „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი გრაფიკის მიხედვით. თვითშეფასების ანგარიშის წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მოხდება მიმდინარე წელს, სამართლის დეტალური სფეროსთვის დადგენილ ვადაში. მან დამატებით აღნიშა, რომ რადგან დაწესებულება ჩართული იყო და მიმდინარე პროცესი იყო სწავლის შედეგების მოდიფიცირება და ახალ „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანა, შესაძლებელი იყო, რომ ექსპერტების მხრიდან არ შემუშავებულიყო აღნიშნული რეკომენდაცია.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდებოდა სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების გასვლის ჭრილში შედეგების გადახედვას, იოსებ ნანობაშვილმა განმარტა, რომ პროგრამის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და აღნიშნა, რომ დაწესებულება ასახავდა შესაბამის კორექტირებას პროგრამაში.

მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, იოსებ ნანობაშვილმა განმარტა, რეკომენდაცია გაითვალისწიმა დაწესებულებამ, კერძოდ, მითითებულ სწავლის შედეგში დაკონკრეტდა „ინგლისური ენა“. მან დამატებით აღნიშნა, რომ შემოდგომაზე წარმოდგენილ პროგრამაში უკვე იქნება შეცვლილი სახით.

მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, იოსებ ნანობაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ მიმდინარე წლის 15 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ ავტორიზაციის პაკეტში პროგრამაშიც და თვითშეფასების ანგარიშშიც მითითებული იყო „Doctor of Law“. შესაბამისად, ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გასწორებული იყო.

მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ასევე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, რომელიც ასევე გამოსწორებული იყო.

კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა სასწავლო დარგში, ნუგზარ სხირტლაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და დამატებით აღნიშნა, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამაზე მიმდინარეობდა პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირება და ახალ „ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, გიორგი მახარობლიშვილს, ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავდა, იმიტომ იქნა გაცემული, რომ ის დაწესებულების მხრიდან ნაწილობრივ იყო შესრულებული თუ, ეს იყო ახლადწარმოშობილი გარემოებებიდან გამომდინარე შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებზედაც მონიტორინგის დროს იქნა ყურადღება გამახვილებული.

საბჭოს წევრმა ეკატერინე ნაცვილშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია, კერძოდ, „პროგრამის სწავლის შედეგები, ასევე, გადასახედია იმ მიმართულებით, რომელიც, მაგალითად, სწავლის შედეგების ექვსდონოვან ჩაშლას უკავშირდება. ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს ცვლილეებების შემდგომ, სწავლის შედეგების სამდონოვან საფეხურზე გადააწყობა რეკომენდირებულია“. ეკატერინე ნაცვლიშვილმა მიმართა ექსპერტებს აღნიშნული რეკომენდაცია შემუშავებული იყო აკრედიტაციის პროცესის დროს თუ მონიტორინგის ფარგლებში შემუშავდა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი მახარობლიშვილმა აღნიშნა, რომ სამართლის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის დროს, ახალი დარგობრივი მახასიათებელი და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო არ იყო განახლებული, შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაცია ახალი დაგრობრივი მახასიათებლის თვალთახედვითაა ჩამოყალიბებული. მან დამატებით განმარტა, რომ დაწესებულების მხრიდან რეკომენდაციები შესრულებული იყო, თუმცა სრულფასოვანი შედეგისათვის საჭირო იყო დამატებითი რეკომენდაციების გაცემა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:28
დასრულების დრო: 14:52

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი იმ პირობით, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინოს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანისას.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გაითვალისწინოს საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დამტკიცების შესახებ“ შესაბამისობაში მოყვანისას.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შესამცირებელია (ზოგიერთი სწავლის შედეგის ამოღების ან გაერთიანება-გამსხვილების ფორმით), რამდენადაც წარმოდგენილ პროგრამას აქვს 28 დარგობრივი სწავლის შედეგი, რომ არაფერი ითქვას ზოგად 11 კომპეტენციაზე. შესაბამისად, რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ამ მიმართულებით გადაიხედოს და შემცირდეს;
2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლა კონკრეტულად განსაზღვრული შეფასებადაქვემდებარებული კომპონენტით მოწმდებოდეს (პირდაპირი შეფასების მექანიზმი). ასევე, უნდა დაკონკრეტდეს კონკრეტული სავალდებულო კომპონენტის რა ნაწილის შეფასებით დადასტურდება კონკრეტულ სწავლის შედეგზე გასვლა;
3. პროგრამის სწავლის შედეგები, ასევე, გადასახედია იმ მიმართულებით, რომელიც, მაგალითად, სწავლის შედეგების ექვსდონოვან ჩაშლას უკავშირდება. ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს ცვლილეებების შემდგომ, სწავლის შედეგების სამდონოვან საფეხურზე გადააწყობა რეკომენდირებულია;
4. პროგრამის სწავლის შედეგი („საკუთარი კვლევის შედეგების ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენას მეცნიერთა და სპეციალისტთა წრეში, მათ შორის, ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენებზე“), გარკვეულწილად, ეწინააღმდეგება პროგრამაზე დაშვების წინაპირობებასა და პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო კურსების ბადეს. კერძოდ, რთულია იმის დადასტურება, თუ რომელი სასწავლო კურსით შეიძლება პროგრამა გერმანულ ან ფრანგულ ენებზე კომუნიკაციის შედეგზე გავიდეს მაშინ, როდესაც პროგრამაზე დაშვების წინაპირობად სამართლის სადოქტორო პროგრამაშიც და დოქტორანტურის დებულების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თ) ქვეპუნქტითაც მოთხოვნილია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. შესაბამისად, რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ამ მიმართულებითაც გადაიხედოს;
5. რეკომედნირებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი ტერმინი შეიცვალოს - Doctor in Law-ის ნაცვლად უნდა იყოს Doctor of Law;
6. რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში სასწავლო კურსის „სამეცნიერო წერის კულტურა და სამართლებრივი კვლევის მეთოდები“ დასახელება შეიცვალოს და აისახოს სილაბუსის სწორი სახელწოდება („სამეცნიერო წერის თანამედროვე სტანდარტები და სამართლებრივი კვლევის მეთოდები“).

მეორე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	N 101 (17.10.2011წ.)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია, მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერებათა მაგისტრი ბიოქიმიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	0512 - ბიოქიმია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილია სსახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელენე ჟურავლიოვამ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

15:01 საათზე აკრედიტაციის საბჭოს სხდომას დატოვა აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა.

15:12 საათზე აკრედიტაციის საბჭოს სხდომას შემოუერთა აკრედიტაციის საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე.

15:27 საათზე აკრედიტაციის საბჭოს სხდომას შემოუერთა აკრედიტაციის საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა.

15:35 საათზე აკრედიტაციის საბჭოს სხდომას შემოუერთა აკრედიტაციის საბჭოს წევრი, ნინო ჭალაღანიძე.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია ღაჭავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად 2021 წლის 7 და 8 აპრილს. აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ექსპერტთა სრული შემადგენლობით და დისტანციურ რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით). ორი დღის განმავლობაში სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ღაჭავამ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალვრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების, ქიმიური მეცნიერებების ან ჯანდაცვის სფეროებში“.
2. რეკომენდირებულია, სავალდებულო სასწავლო კურსში „ბიოტექნოლოგიური მიდგომები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა და ისწავლებოდეს სხვადასხვა ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან და წარმოებებთან დაკავშირებული საკითხები.
3. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მაგისტრანტის შეფასების წესი შესაბამისობაში მოვიდეს განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-19 მუხლთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ კურიკულუმში პროგრამაზე დაშვების წინაპირობად მითითებულია შემდეგი „სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველს სასურველია, ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებული მეცნიერებების, ქიმიური მეცნიერებების ან ჯანდაცვის სფეროებში“. ვფიქრობთ პროგრმის სპეციფიკურობიდან, შინაარსიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს დარგის შესაბამისი ან მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში აკადემიური ხარისხი და სიტყვა „სასურველი“ უნდა ამოვიდეს წინაპირობიდან. სხვა შემთხვევაში პროგრამაზე ჩაბარებულ დარგის (ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები, ქიმიური მეცნიერებები ან ჯანდაცვის სფერო) არასათანადოდ მცოდნე სტუდენტს, გაუჭირდება პროგრამის დაძლევა. მან დამატებით აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციის შემუშავების ერთ-ერთი საფუძველი იყო, რომ სასურველია მაგისტრანტს, რომელსაც მიიღებს დაწესებულება აღნიშნულ პროგრამაზე ჰქონდეს კარგი საბაზისო განათლება ბიოლოგია, მოლეკულური ბიოქიმიის მიმართულებით. კანონმდებლობა არ უზღუდვას სხვა კვალიფიკაციის მქონე პირს, იყოს მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტი, მაგრამ სასურველია, რომ აღნიშნულ პროგრამაზე დასაშვებად სტუდენტს კონკრეტული მიმართლებით საბაზისო ცონდა უნდა გააჩნდეს. ნათია ღაჭავამ დამატებით აღნიშნა, რომ სხვა კვალიფიკაციის მქონე მაგისტრანტებისათვის, რომელთაც დაწესებულება მიიღებს აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებუელბას გათვალისწინებული აქვს საჭიროების შემთხვევაში სამაგისტრო საფეხურზე კრედიტების გარეშე რიგის სასწავლო კურსების გავლა, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით საბაზისო ცოდნა, რაც საჭიროა ამ მიმართულებით თუნდაც სპეციალობაში ჩაბარებული გამოცდა, მაინც ვერ იქნებოდა სრულყოფილი, რაც მაგისტრატურის საფეხურზე იყო საჭირო სასწავლო კურსების გასავლელად და საბოლოო შედეგზე გასასვლელად.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რადგან პროგრამის მიზნებში მითითებული იყო, რომ ინსტიტუცია მოამზადებს კვალიფიცირებულ კადრს, რომელიც

ბიოტექნოლოგიის მიმართულებით შეძლებს ინდუსტრიაში საქმიანობას. ამ მიმართულებით საჭიროა, გაძლიერებული იქნას აღნიშნული კომპონენტი და შესაბამისად კურსდამთავრებულს მისცემს ამ მიმართულებით საქმიანობით შესაძლებლობას.

ნათია ღაჭავამ მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ უსდ-ს შემუშავებული ჰქონდა სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია, რომელშიც დეტალურად იყო გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის, პლაგიატზე შემოწმების, რეცენზირების, დაცვის, შეფასების წესები და კომპონენტები თავისი შეფასების კრიტერიუმებით. მან დამატებთ აღნიშნა, რომ კონცეფციაში ასევე მითითებული იყო, თუ სტუდენტი აგროვებს 41-50 ქულამდე, მან ხელახლა უნდა დაიცვას ნაშრომი მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე და დაცვებს შორის მინიმალური პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ 10 დღე. თუმცა ეს ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში ეწინააღმდეგება განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-19 მუხლს, რომლის თანახმად თუ მაგისტრანტი აგროვებს 41-50 ქულას, მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ხელს არ უშლის პროგრამა გავიდეს შედეგზე, მოამზადოს მკვლევარი, რომელიც შეძლებს თავისი საქმიანობის განხორციელებას, როგორც სასწავლო პროცესში კვლევითი მიმართულებით ასევე ინდუსტრიასთან მიმართებით. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ ფაკულტეტი მზად არის მაქსიმალური პირობა შექმნას, რათა მაგისტრანტმა შეძლოს თავისი საქმიანობის როგორც სასწავლო ისე კვლევით მიმართულებით განვითარებაში.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნინო ჟვანია მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ მესამე რეკომენდაცია დაწესებულებამ გაიზიარა და ასახული იყო ცვლილებები შესაბამის დოკუმენტებში.

პროგრამის ხელმძღვანელი, ლალი შანშიაშვილი მიესალმა დამსწრე სოზგადოებას და აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების დაშვების წინაპირობას დაწესებულება მკაცრად არ განსაზღვრავდა, რადგან არ არის აუცილებელი სტუდენტს ჰქონდეს ბაკალავრის ან ბაკალავრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში. მან აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აპლიკანტს ჰქონდეს სპეციალობის შეცვლის საშუალება. ლალი შანშიაშვილმა აღნიშნა, რომ აპლიკანტი აბარებდა შიდასაუნივერსიტეტო მისაღებ გამოცდას, სადაც ხდებოდა აპლიკანტის დარგობრივი ცოდნის შეფასება. შესაბამისი კომისიის საშუალებით შეირჩევა ის აპლიკანტი, რომელიც დააკმაყოფილებს იმ წინაპირობას, რაც საჭიროა რომ პროგრამის დაძლევისათვის.

ლალი შანშიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა გამოცდილება, როდესაც ჰყავდათ სხვა კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს შიდასაუნივერსიტეტო კონკურსი, დაძლიეს ყველა საგანი და გავიდნენ შესაბამის სწავლის შედეგებზე. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ინსტიტუციას ჰქონდა გარკვეული კონსულტაციები უცხოელ ექსპერტთან, იზმირის უნივერსიტეტის პროფესორთან, რომელიც არის ბიოქიმიკოსი, ევროპის ბიოქიმიკოსთა საზოგადოების ფედერაციის ასოციაციის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე. მან დამატებით აღნიშნა, რომ თავად ლალი შანშიაშვილი და რევაზ სოლომონია იყვნენ განათლებლის ელჩები და აღნიშნული განათლების კომიტეტის წევრები და შესაბამისად, დაწესებულება იზიარებდა ევროპულ გამოცდილებას.

სწორედ ევროპული გამოცდილებიდან გამომდინარე დაწესებულება არ უზღუდავდა უფლებას სხვა კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტს ჩაებარებინა აღშნიშნულ სამაგისტრო პროგრამაზე იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტის ცოდნა შეესაბამებოდა შესაბამის დარგობრივ ცოდნას, რასაც დაწესებულება ითხოვდა პროგრაზე დაშვების წინაპირობად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნელი დათუკიშვილმა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „ბიოტექნოლოგიური მიდგომები“ განკუთვნილი იყო სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის. შესაბამისად, მისი განმარტებით სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი იყო დამოუკიდებელი მუშაობის უნარების განვითარება. მან დამატებით აღნიშნა, რომ ბიოტექნოლოგია საკმაოდ სწრაფად განვითარებად დარგს წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, უახლეს სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობის უნარი და ბიოტექნოლოგიის მიდგომების დამოუკიდებელი ანალიზი მნიშვნელოვანი კომპეტენციას წარმოადგენდა. ამით იყო განპირობებული დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, ხოლო ის საკონტაქტო საათები, რომელიც განსაზღვრული იყო კურსის სილაბუსში, სრულიად საკმარისი იყო აუდიტორიაში სამუშაოდ. ნელი დათუკიშვილმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია იმასთან დაკავშირებით, რომ უნდა ისწავლებოდეს სხვადასხვა ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან და წარმოებებთან დაკავშირებული საკითხები, ხაზგასმით აღნიშნა, რომ კურსის თემატიკაში შედიოდა სხვადასხვა ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან და წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები, განსაკუთრებით შემდეგ თემებში: "მიკრობული ფერმენტაცია, ინდუსტრიული ფერმენტაციის პროდუქტები", "თერაპევტული აგენტებისა და ვაქცინების წარმოება მოლეკულური ბიოტექნოლოგიით", ბიოტექნოლოგიის გამოყენება სოფლის მეურნეობასა და გარემოს დაცვაში" და "ბიოტექნოლოგიის გამოყენება საკვების ინდუსტრიაში". მან დამატებით აღნიშნა, რომ კურსის თემატიკა აგებული იყო თანამედროვე სახელმძღვანელოების მიხედვით და სრულ შესაბამისობაში იყო საერთაშორისო პრაქტიკასთან და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ კურსებთან. ნელი დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ უცხოური უნივერსიტეტების ანალოლგიურ კურსებს იცნობდნენ, არამხოლოდ ინტერნეტის საშუალებით, არამედ დაწესებულების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ უცხოურ უნივერსიტეტებში ბიოტექნოლოგიის სწავლებების საკითხებს, როგორიცაა ამერიკაში, მიჩიგანის უნივერსიტეტი, ბელგიაში-გენტის უნივერსიტეტი, იტალიაში პარმის უნივერსიტეტი. მან დამატებიტ აღნიშნა, რომ სწორედ უცხოური პრაქტიკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე შედგა სასწავლო კურსი და ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას და უცხოურ ინსტიტუტებს შორის იყო მუდმივი კომუნიკაცია და გამოცდილების გაზიარება. შესაბამისად, ნელი დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია არ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ აღშიშნულ რეკომენდაციას.

სსდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ 1.1. ქვესტანდარტი ითვალისწინებდა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს ასევე მეცნიერების სფეროს და სახელმწიფო ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს. გიორგი ღაღანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სად იყო ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო ბაზრის ტენდენცია და აღნიშნული დოკუმენტაციის გარეშე როგორ განხორციელდა 1.1. ქვესტანდარტის შეფასება.

გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ 4.4. ქვესტანდარტში ექსპერტთა ჯგგუფის მიერ გაწერილია, რომ პროგრამის ბიუჯეტში გაწერილია უსდ-ს მიერ პროგრამის მხარდაჭერა, უსდ-ს ბიუჯეტით

გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, ბიუჯეტში მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები, როგორც პერიოდული ისე ერთჯერადი. გიორგი ღაღანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ რის საფუძველზე იყო გაწერილი, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და სად არის მითითებული პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ რამდენად გაზომვადი იყო სწავლის შედეგები ცოდნის და გაცნობიერების დამადასტურებლად.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტა ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევებს მეტწილად რეკომენდაციის სახე ჰქონდა. დიანა მჭედლიშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს რატომ შეიმუშავეს აღნიშნული საკითხები რჩევის სახით და რა დოზით უნდა მოხდეს დაწესებულების მხრიდან აღნიშნული რჩევების გათვალისწინება.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ რა დოზით იყო წარმოდგენილი ბიოტექნოლოგიის საკითხები პროგრამაში და რამდენად მისაღები იყო ექსპერტების მოსაზრებით პროგრამის სათაურში სიტყვა ბიოტექნოლოგიის გაწერა, როდესაც მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო მეცნიერებათა მაგისტრი ბიოქიმიაში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ღაჭავამ განმარტა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა შრომის ბაზრის კვლევა და ექსპერტთა ჯგუფი ძირითადად დაეყრდნო კვლევას, რომელიც 2020 წელს იყო შესრულებული ფოკუსს ჯგუფის მიერ. ფოკუს ჯგუფმა განახორციელა ოთხ დამსაქმებელთან კვლევა და ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიურების საფუძველზე გაკეთდა შესაბამისი დასკვნა. ინტტერვიურების ფარგლებში აღნიშნეს, რომ მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობდა დაწესებულებასა და დამსაქმებელ ორგანიზაციებს შორის, როგორც სასწავლო პროცესის განხორციელებაში ისე დასაქმების თვალსაზრისით, ამ ეტაპისთვის ექსპერტთა ჯუგფისთვის მისაღები იყო შრომის ბაზრის კვლევა და ინტერვიურება. ნათია ღაჭავას მოსაზრებით მომავალში ინსტიტუცია გაზრდიდა დამსაქმებლის მაჩვენებელს და შეასრულებდა უფრო ფართო კვლევას და არ იქნება შემოფარგლული მხოლოდ ოთხი დამსაქმებლის კვლევით. ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ ფოკუს ჯგუფი ახორციელებდა შრომის ბაზრის კვლევას შესაბამისი კითხვარების გამოყენებით. ნათია ღაჭავამ საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებტან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციაში იყო დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ ინსტიტუცია საგანმანათლებლო პროგრამებს აფასებინებდნენ უცხოელ პარტნიორებს, ითვალისწინებდნენ მათ შეხედულებას. ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ ინსტიტუციის წარმომადგენლებმა როგორც ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ უცხოელი პარტნიორები აფიქსირებდნენ იმ ტენდენციებს, რაც მსოფლიო მასშტაბით მიმართულებაში არსებობდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ მისი კითხვა არ იყო პარტნიორობის შესახებ. მან მიმართა კონკრეტული კითხვით ექსპერტთა ჯგუფს, ექსპერტმა ჯგუფმა ნახა თუ არა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. მან აღნიშნა,რომ თავად ვერ ნახა აღნიშნული დოკუმენტი.
რაზეც ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასება მოხდა დაახლოებით ორი თვის წინ და მსგავსი დოკუმენტის არსებობა არ ახსენდებოდა. ნათია ღაჭავამ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის წევრს, ელინა ბაქრაძეს, რომელმაც მეოთხე სტანდარტი შეაფასა.

ნათია ღაჭავამ ბიუჯეტთან დაკავშირებულ კითხვასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაეყრდნო ინტერვიურების ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ელინა ბაქრაძის განმარტებით, ბიუჯეტში თანხის ერთეული იყო გასასწორებელი, რაც ტექნიკური ხარვეზი იყო. მან დამატებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის თითოეული კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იყო გავლილი. კონკრეტულად, რა მიზნებით იხარჯებოდა თანხები.

გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, მისი კითხვა არ მდგომარეობდა ტექნიკურ ხარვეზთან დაკავშირებით. მან მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ რის საფუძველზე იყო გაწერილი, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და სად არის მითითებული პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ეს ინფომაცია არ იყო მოცემული, მან აღნიშნა, რომ რადგან აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო გაწერილი, შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ნანახი დამატებითი დოკუმნები რის საფუძველზეც განხორციელდა 4.4. ქვესტანდარტის შეფასება.

რაზეც ექზპერტთა ჯგუფის წევრმა, ელინა ბაქრაძემ განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი დეტალურად გაიარა ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაწესებულებამ დამატებით წარმოადგინა შესყიდვის დოკუმენტები, რომელიც საკმარისი იყო 4.4. ქვესტანდარტის შეფასებისთვის. შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციებითა და ინტერვიურების საფუძველზე შეადგინა ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გიორგი ღაღანიძე ჩაეკითხა ექსპერტს ელინა ბაქრაძეს, დაეკონკრეტებინათ როგორ განისაზღვრა ბიუჯეტი საკმარისი იყო თუ არა.

ექსპერტის განმარტებით,დაწესებულებას აქვს გაწერილი მისაღები სტუდენტების რაოდენობა, ინფრასტრუქტურა. ქიმიას და ბიოქიმიას სჭირდება სპეციფიკური ინფრასტრუქტურა, დაწესებულებას გააჩნია ხელსაწყო დანადგარები, რომლებზეც სტუდენტების კონკრეტული რაოდენობაა ჩართული. ჰყავთ ძირითადი და აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული პერსონალი, სწორედ ყველა საკითხის შეჯერების შედეგად მოხდა გაანალიზება, რომ პროგრამის ბიუჯეტი საკმარისი იყო პროგრამის განხორციელებისთვის.

ექსპერტის განმარტებიდან გამომდინარე, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაითვალა სტუდენტებთა რაოდენობა, შემდეგ სილაბუსების მიხედვით დათვალა ლაბორატორიული სამუშაოები, ექსპერტთა ჯგუფმა გადათვალა თითოეული ლაბორატორიული სამუშაოს ღირებულება, ეს ყველაფერი ექსპერტთა ჯგუფმა დააჯამა, გამოიყვანა პროგრამის ღირებულება, კურსების მიხედვით.

რაზეც, ექსპერტმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ვერ ჩაატარებდა ამხელა ეკონომიკურ ანალიზს.

სწავლის შედეგების გაზომვადობასთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ნათია ღაჭავამ განმარტა, რომ სწავლის შედეგები ცოდნა გაცნობიერების საკითხში და ზოგადად სწავლის შედეგები, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია, არის ნამდვილად გაზომვადი, ამაზე მეტყველებს ექსპერტის განცხადებით ის კვლევები, რომლებიც დაწესებულებას ჰქონდა ამ მიმართულებით შესრულებული. მან დამატებით აღნიშნა, რომ შეიძლება არ იყოს

გამოყენებული მოთხოვნადი აქტიური ზმნები ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, მაგრამ მაჩვენებლები რომელიც პროგრამას გააჩნია, აკადემიური მოსწრებების თვალსაზრისით, კურსდამთავრებულების მაჩვენებლების, დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით პროგრამა სწავლის შედეგებზე გადის.

ნათია ღაჭავამ, დიანა მჭედლიშვილის შეკითვასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, აკადემიურ პერსონალთან და დაწესებულების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურთან ინტერვიურებისას განხილული იყო თითოეული საკითხი, რომელიც რჩევის სახით ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფმა და აღნიშნული საკითხები გაიზიარა დაწესებულების წარმომადგენლებმა და სწორედ ამ მიზნით ჩამოყალიბდა რჩევების სახით. მან დამატებით აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით დაწესებულება გაითვალისწინება ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რჩევებს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო დაკონკრეტება, რადგან რჩევებში საუბარი იყო ლაბორატორიების განახლებაზე, შედგების რუკის შემუშავებაზე. აღნიშნული საკითხები სავალდებულოდ შესასრულებელი კომპონენტია სტანდარტისათვის.

ექსპერტის განმარტებით, პირველი რჩევა - სასურველია მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება. მან განმარტა, რომ პროგრამის მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის კავშირი არის. ექსპერტთა ჯგუფს რომ არ დაენახა კავშირი მიზანსა და შედეგს შორის, ის მიიღებდა რეკომენდაციის ხასიათს. დაწესებულებამ სასურველია მიზანი რამდენიმე საკითხად გაწეროს, რომ მარტივად მოხდეს რუკის აგება და დააკავშიროს სწავლის მიზანი სწავლის შედეგთან.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მეორე რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი“ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს და განაცხადა, რომ აღნიშნულ საგანს წინაპირობად სჭირდებოდა მათემატიკის მიმართულებით სასწავლო კურსის გავლა. რამდენად ჰქონდა პროგრამას რესურსი, რომ წინაპირობად დაუწესდეს სასწავლო კურსები.

ექსპერტის განმარტებით, ინსტიტუციია აღნიშნული რჩევის გათვალისწინების შემთხვევაში აღნიშნულ საგანს წინაპირობად განუსაზღვრავს ან თავად „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ სასწავლო კურსში იქნება რამდენიმე საათი დათმობილი მათემატიკური ნაწილისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელი დავით მიქელაძის განმარტებით ინსტიტუციას ჰქონდა რესურსი, რომ აუცილებლობის შემთხვევაში წინაპირობად განესაზღვრათ სასწავლო კურსები. მან დამატებით აღნიშნა, რომ თითოეული მაგისტრანტი თავის მოთხოვნილების მიხედვით ირჩევს სტატისტიკას. აუცილებლობის შემთხვევაში დაწესებულებამ მზაობა გამოთქვა აღნიშნულის განსახორციელებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ სტანდარტი სავალდებულოდ არ ითხოვდა მიზნისა და სწავლის შედეგების რუკის შემუშავებას.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარისში 1.2 ქვესტანდარტის მტკიცებულებების ნაწილში პირდაპირ იყო გაწერილი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ სტანდარტი ითხოვს შესაბამისობის დადგენას მიზანსა და სწავლის შედეგებს შორის. რუკა კეთდება იმ კომპონენტებთან და იმ სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, რის დეკლარირებასაც აცხადებს პროგრამა. დაწესებულების განმარტებით აღნიშნული არის პროგრამის რუკა. ეს რუკა არის სავალდებულო და წარმოდგენილია ყველა პროგრამაში, ამ რუკაში ასახულია პროგრამის სწავლის შედეგი, ასახულია ყველა პროგრამის სწავლის კომპონენტი და აღნიშნულია შესაბამისობა, პროგრამის რომელი კომპონენტი შეესაბამება რომელ სწავლის შედეგს. ყველა ექსპერტს დაწესებულების განმარტებით უნდა ჰქონდეს უნარი რუკის გარეშე დაადგინოს მიზანი არის ასახული პროგრამის სწავლის შედეგებში თუ არა. პროგრამის მიზანში სტანდარტის მოთხოვნები საკმაოდ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, კერძოდ ცოდნა და უნარები განსაზვრულია, რაზე არის ორიენტირებული პროგრამა შესაბამისად, კარგი ექსპერტებისთვის მარტივად ხდება შესაძლებელი დადგენა დეკლარირებულია მიზანში თუ არა მიზნის მიღწევა. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, საერთაშრისო პრაქტიკითაც სწავლის შედეგები არის გაზომვადი, ბლუმის ტაქსონომია არ არის ერთადაერთი ტაქსონომია, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული. ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ არსებობს პრაქტიკა, როდესაც არცერთი ტაქსონომია არ არის გამოყენებული. ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ რთულად ითარგმნება ბლუმის ტაქსონომიის ზმნები ქართულ ენაზე და ხშირ შემთხვევაში იწვევს გაუგებრობასაც. ამიტომ თუკი ცოდნა გაცნობიერების ნაწილში გაწერილია, რომ სტუდენტს აქვს სიღრმისეული ცოდნა, საერთაშორისო ანალოგი არის „demonstrate advanced knowledge in something“, რაც ქართულ ენაზე ითარგმნება როგორც - დემონსტრირებას აკეთებს სიღრმისეული ცოდნის, კომპლექსური ცოდნის. დემონსტრირებას აკეთებს დაწესებულების მოსაზრებით ქართულ ენაში გასაგებად არ ჟღერს, შესაბამისად საჭიროებს ფორმულირების შეცვლას და ითარგმება როგორც ''აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა''.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ მეორე სწავლის შედეგია - „შეუძლია დასმული ამოცანიდან გამომდინარე განსაზღვროს ფენომენის, პათოლოგიის, მოქმედების მექანიზმები და მათ შორის ურთიერთქმედების მოდელები არსებული უახლესი ცოდნიდან გამომდინარე. ნინო ჟვანიას განმარტებით, ეს არის გაზომვადი სწავლის შედეგი, იმიტომ რომ ძალიან მკაფიოდ არის განსაზვრული რომ ამ სწავლის შედეგის ნაწილში კომპეტენცია არის - „განსაზღვროს მექანიზმები და მათ შორის ურთიერთქმედებები''.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მეოთხე რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა: სასურველია გაიზარდოს ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა სავალდებულო სასწავლო კურსებში“, კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ არ გაიზარდებოდა ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა სავალდებულო სასწავლო კურსებში, რამდენად მიღწევადია სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ზურაბ ქუჩუკაშვილმა განმარტა, წარმოდგენილ პროგრამებში იყო გარკვეული საგნები, რომელშიც წარმოდგენილი იყო ლაბორატორიული სამუშაოები, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საგანი იყო, რომელიც გამოყენებითი ბიოქიმიის თანამედროვე მეთოდებს შეესაბამება, საკონტაქტო საათს წარმოადგენდა 28 საათი და საკმაოდ მკაფიოდ იყო წარმოდგენილი მთელი ლაბორატორიული სამუსაოები. მან განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ვიზიტის ფარგლებში გაუჩნდა კითხვა სასწავლო კურსების ხელმძღვანელებთან რამდენად საკმარისი იყო ლაბორატორიული სამუშაოების წინაპირობად წარმოდგენილი სასწავლო კურსები. ერთი წინაპირობა იყო, სადაც 6 საათი იყო მხოლოდ ლაბორატორიული სამუშაოებისთვის გაწერილი მაგრამ, არ იყო კონკრეტულად ჩაშლილი რა სახის ლაბორატორიული სამუშაოები იქნებოდა და რა სახის უნარ-ჩვევებს განუვითარებდა სტუდენტს აღნიშნული ლაბორატორიული სამუშაოები. რაზეც ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ 6 – 6 საათი იყო ლაბორატორიული

სამუშაოებისთვის გაწერილი. მან დამატებით აღნიშნა, რომ არ იყო აუცილებელი ყველა საგანში ლაბორატორიული სამუშაოების გაზრდა, თუმცა, მეტწილად სასურველი იყო, ვინაიდან, გამოყენებითი ბიოქიმია, ბიოტექნოლოგია, აღნიშნული სასწავლო კუსები ითხოვს ლაბორატორიული წილის გაზრდას. სწორედ ამიტომ გაიცა რჩევით სახით, თუმცა მან დამატებით აღნიშნა, რომ ძირითადი ლაბორატორიული სამუშაოები ხორციელდებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე, რომელიც ასევე სავალებულოა. საბოლოო მიზანზე გასასვლელად ეს წილი ლაბორატორიული სამუშაოები მოიაზრება ,რომელიც უშუალოდ არის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე. რჩევის სახით იქნა გამოხატული,რომ ყოფილიყო უფრო მეტი ლაბორატორიული საკონტაქტო საათი გაზრდილი ამ მიმართულებით.

რაც შეეხება სათაურთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, ვინაიდან სტანდარტით არის განსაზღვრული, მაგისტრის ხარისხის მინიჭება, ამ კუთხით სათაურში ბიოტექნოლოგიის გამოყენებითი ბიოქიმიის და ბიოტექნოლოგიის გამოყენებასთან მიმართებაში, სწორედ ის რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტების მხრიდან იქნა გაცემული, რომ გაზრდილიყო წილი ბიოტექნოლოგიის საკონტაქტო საათების, რომელიც აქვთ ბიოტექნოლოგიურ მიდგომებში, რეკომენდაცია სწორედ აქედან გამომდინარე გაიცა. კვალიფიკაცია ეს არის ბიოქიმია. ბიოქიმიური ნაწილი, პროგრამაში საკმაოდ არის წარმოდგენილი, მაგრამ რომ არ დარჩეს მცდარი მიდგომა ან წარმოსახვა რომ სათაურში ბიოტექნოლოგიაც არის გამოტანილი და ბიოტექნოლოგიის მიმართულებით იგივე რაოდენობის სასწავლო კურსების გავლა მოუწევს სტუდენტს, ამ მიზნით მოხდა რეკომენდაციის გაწერა რომ გაზრდილიყო ბიოტექბოლოგიის მიმართულებით სასწავლო კურსები. გარდა ამისა დაწესებულების არგუმენტი მისაღებია, რომ დამოუკიდებელი საათები უნდა იყოს დიდი რაოდენობით მაგისტრანტებთან, რომ თვითონ განავითარონ ცოდნა, მაგრამ ამას ეხმიანება პირველი რეკომენდაცია, რომელიც იყო მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, ვინაიდან დამოუკიდებლად მოძებნოს ლიტერატურა, იმსჯელოს და შეაფასოს. საჭიროა, რომ სტუდენტს საბაზისო ცოდნა ჰქონდეს საკმაოდ დიდი, გამოყენებითი ბიოქიმია, სადაც მოლეკულური, გენეტიკის საკმაოდ დიდი ნაწილია, რომელიც არ არის მარტივი. ეს ორი ნაწილი ექსპერტის განმარტებით, ერთმანეთს ავსებდა,პირობები უნდა იყოს შესაბამისი და ჰქონდეს წინასწარი რესურსი სტუდენტს, რომ დამოუკიდებლად მოძებნოს თემატიკები და განვითარდეს და ვინაიდან დაწესებულებას ბიოტექნოლოგია აქვს წარმოდგენილი სათაურში, ამიტომ წილი ბიოტექნიკური მიმართულების უნდა გაიზარდოს, თემატურად ეს საგანი მოიცავს ბევრ ინფორმაციას, რაც ბიოტექნიკურ მიდგომებისთვის არის საჭირო, მაგრამ ექსპერტების აზრით, არ არის საკმარისი რომ მთლიანად მოიცვას, დაწყებული სამედიცნო, ფარმაცევტული კუთხით, სურსათის ან ეკოლოგიის კუთხით. საკონტაქტო საათები, რომ მეტი იყოს და უფრო მეტი ისწავლოს სტუდენტმა, უფრო რელევანტური იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის, დავით მიქელაძის განმარტებით, ბიოტექნლოგია მეცნიერება არ არის, ეს არის ტექნოლოგია. დაწესებულებას აქვს ბიოტექნოლოგიური მიდგომები, ისინი არ ასწავლიან ტექნოლოგიას, ისინი ასწავლიან მიდგომებს და ყველა ბიოტექნოლოგიური მიდგომა დაწყებული ყველის წარმოებაში ფერმენტის გამოყოფიდან და გენის ტრანსფერამდე დამთავრებული არის ბიოქიმია. ამიტომ გამოყენებითი ბიოქიმიის საშუალებით ხდება ბიოტექნოლიგიური მიდგომების შესწავლა. როგორ უნდა გაიზარდოს საკონტაქტო საათები, როდესაც ტექნოლოგიასთან არანაირი შეხება არ აქვს პროგრამას.

საბჭოს წევრმა. ნინო ინასარიძემ მიმართა დაწესებულებას რატომ ჩათვალეს საჭიროდ რომ პროგრამის სახელწოდებაში ყოფილიყო ბიოტექნოლოგია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მიქელაძემ აღნიშნა, რომ ბიოქიმიურ ასპექტში არის ბიოანალიზური ელემენტები, იმიტომ რომ იქ სადაც ბიოლოგიური სითხე არსებობს დაწყებული ლუდიდან დამთავრებული რძემდე, ყველგან არის ანალიზური ბიოქიმია საჭირო.

იმუნოლოგიას, მიკრობიოლოგიას, ბიოქიმიური მეთოდოლოგია სჭირდება, რომ განისაზღვროს გარკვეული ტიპის პროცესის ინტენსივობა. pcr კორონას დიაგნოსტიკაში ძალიან ეხმარება, ეს ხელსაწყო გამოიყენება აბსოლუტურად ყველა ბიოლოგიურ ობიექტისთვის. ეს პრაქტიკული მიდგომა გაწერილია ერთ საგანში და უნიფიცირებული მეთოდოლოგია ისწავლება ერთი საგნის მეშვეობით. თითო საგანს დაწესებულების განმარტებით, თავისი სპეციფიკა თუ აქვს ეს სპეციფიკა პრაქტიკულ მეცადინეობაში ისწავლება.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა რჩევასთან დაკავშირებით განმარტება მოითხოვა, რომელიც ეხებოდა: სასურველია უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს მაღალტექნოლოგიური თანამედროვე ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც აკმაყოფილებს საერთშორისო სტანდარტებს, და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ელინა ბაქრაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ლაბორატორიები ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ონლაინ, მისი განმარტებით ყველაფერი შედარებითია, როდესაც საუბარია ბიოტექნოლოგიებზე სტანდარტი არის საკმაოდ მაღალი. იქიდან გამომდინარე, რომ ფიზიკა, ქიმია, ძალიან განვითარებული მიმართულებებია, შესაბამისად ლაბორატორიული დანადგარები არის ძალიან ძვირი. რა თქმა უნდა დაწესებულებას აქვს ხელსაწყო დანადგარები, რომელიც საკმარისი იყო პროგრამის განხორციელებისთვის, თუმცა, მან დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული რჩვა იყო სამომავლოდ გაწერილი.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს თუ რატომ იყო სტუდენტებთა ხელმისაწვდომობის შესახევ ყურადღება გამახვილებული აღნიშნულ ლაბორატორიებზე.

ექსპერტი ელინა ბაქრაძის თქმით, სტუდენტთა ხელმისაწვდომობა ლაბორატორიებთან ეჭვს არ იწვევდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მიქელაძემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციას გააჩნდა უნიკალური ლაბორატოტია და მსგავსი ანალოგი არცერთ უნივერსიტეტს არ გააჩნდა.

საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის განმარტებით, რჩევები დაწერილია ჰიპოტეტურად, დანართები და სწავლის შედეგების შეფასების ინდიკატორების რუბრიკა არ იქნა ნანახი მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტის ფარგლებში მიღებულ ინფორმაციას და შესწავლილი დოკუმენტაციას დაეყრდნო.

ექსპერტთა ჯგუფმა განმარტა რომ ხელმძღვანელობდნენ სტანდარტის მოთხოვნებით, რაზედაც ეკატერინე ნაცვლიშვილმა უპასუხა, რომ სწორედ სტანდარტის მოთხოვნა იყო დანართები, რომელიც პროგრამის განუყოფელი ნაწილია განსაკუთრებით სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც გარკვეული ინდიკატორებით იზომება. რას ნიშნავს ეს სიღრმისეული ცოდნა, როდის არის ჩაშლილი, რა უნდა გაითვალისწინოს პროგრამის ხელმძღვანელმა სწავლის შედეგების მოდიფიცირებისათვის სილაბუსებისა და პროგრამების დონეზე.

ექსპერტი ელინა ბაქრაძის განმარტებით, დაწესბეულების მიერ წარმოდგენილი იყო სწავლის შედეგების რუკა; სავალდებულო კურსები და არჩევითი კურსები იყო კომპონენტებად ჩაშლილი, თუმცა, აქ საუბარი იყო გამარტივებული ფორმით წარმოდგენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელი ნინო ჟვანიას განმარტებით, პროგრამაში წარმოდგენილი იყო სამიზნე ნიშნულები, ნიშნულებია ის ინდიკატორები, რითაც განისაზღვრება პროგრამა აღწევს თუ არა სწავლის შედეგებს, კონკრეტულად სამიზნე ნიშნულები და მაჩვენებლები

პროგრამაში იყო განსაზვღვრული. სიღრმისეული ცოდნა აქვს თუ არა სტუდენტს, ეს შეფასება სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე კერძოდ: როგორ არის განსაზღვრული და ჩამოყალიბებული ლიტერატურის მიმოხოლვა, რამდენად ჩანს ამის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნის საჭიროება, რამდენად გამომდინარეობს კვლევის მიზანი, ლიტერატურის მიმოხილვიდან და რამდენად ეყრდნობა ლიტერატურის მიმოხილვას მეთოდოლოგია. მისი განმარტებით შედეგები ასახულია სამაგისტრო ნაშრომებში, რომელიც დაწესებულების წარმომადგენლება გაუზიარეს როგორც ექსპერტებს, ისე საბჭოს წევრებს. სამაგისტრო ნაშრომის გაზომვის ყველაზე სანდო მაჩვენებელია სამაგისტრო ნაშრომი, სადაც აისახება შედეგები.

დაწესებულების ადმინსტრაციის უფროსმა, ითხოვა მისაღები ბიუჯეტის ნიმუშის შექმნა, იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებისთვის გაუგებარი იყო როგორი სახით უნდა წარმოედგინათ ბიუჯეტი, რომ მისაღები იყოს საბჭოს წევრებისთვის.

საბჭოს წევრის, გიორგი ღაღანიძის თქმით, როგორი სახით უნდა წარმოადგინოს დაწესებულებამ პროგრამის ბიუჯეტი სტანდარტში არის გაწერილი: უნდა დადასტურდეს ეკონომიკური მიღწევადობა, უნდა ჩანდეს წყაროები როგორც მუდმივი ისე ერთჯერადი. მოითხოვა სტანდარტის დადასტურება. თუ სტანდარტის მოთხოვნა ამბობს, ეკონომიკურად მიღწევადი, დაწესებულებამ უნდა დაადასტუროს, ა) რომ ეს არის მხოლოდ გადახდით საფასურის, ბ) არ ყოფნის მაგრამ გვაქვს სხვა წყარო. მან დამატებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის ნიმუშის შექმნის საჭიროება არ იყო, რადგან აღნიშნული სტანდარტით იყო გაწერილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:15
დასრულების დრო: 17:08

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 2.1 კომპონენტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აკება;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;

4. რეკომენდირებულია, სავალდებული სასწავლო კურსში „ბიოტექნოლოგიური მიდგომები“ გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა და ისწავლებოდეს სხვადასხვა ბიოტექნოლოგიურ ინდუსტრიასთან და წარმოებებთან დაკავშირებული საკითხები;
5.რეკომენდირებულია, არჩევითი სასწავლო კურსი „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი;
6. რეკომენდირებულია, გაიზარდოს ლაბორატორიული მუშაობების რაოდენობა სავალდებულო სასწავლო კურსებში;
7. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მაგისტრანტის შეფასების წესი შესაბამისობაში მოვიდეს განათლების მინისტრის მე-3 ბრძანების მე-19 მუხლთან;
8. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები:
1. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით „სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარების მსურველ პირს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის/ბაკალვრთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან შესაბამისი კვალიფიკაცია ბიოლოგიურ და მომიჯნავე დარგებში;
2. სასურველია, სავალდებულო სასწავლო კურსს „გამოყენებითი ბიოქიმიის თანამედროვე მეთოდები, ომიკ-ტექნოლოგია და ბიოეთიკა“ გამოეყოს არჩევითი სასწავლო კურსის სახით „ომიკ-ტექნოლოგია“;
3. სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები იმგვარად, რომ სტუდენტს ჰქონდეს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და სილაბუსებში მიეთითოს რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილ მინიმალურ ზღვარს;
4. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ამოღებული იყოს შეფასების სისტემაში არსებული ჩანაწერი „დასკვნითი შეფასება არის კურსის სავალდებულო კომპონენტი“;
5. სასურველია, უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს მაღალტექნოლოგიური თანამედროვე ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც აკმაყოფილებს საერთშორისო სტანდარტებს, და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა;
6. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტი ყურადღებით გადაამოწმოს საგანმანათლებლო პროგრამა და მისი თანმხლები დოკუმენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	17.10.2011 N103
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოქიმიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება	-
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელენე ჟურავლიოვამ მესამე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია ღაჭავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ბიოქიმია და ბიოტექნოლოგია“ სააკრედიტაციო შეფასება აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად განხორციელდა დისტანციურად 2021 წლის 7 და 8 აპრილს. აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა დღის წესრიგის დაცვით ექსპერტთა სრული შემადგენლობით და დისტანციურ რეჟიმში (Zoom-ის გამოყენებით). ორი დღის განმავლობაში სააკრედიტაციო ვიზიტი წარიმართა ყოველგვარი ხარვეზების გარეშე, ჩატარდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა და უსდ-ს მხრიდან უზრუნველყოფილი იყო პროცესში მონაწილე ყველა პირის ჩართულობა, რათა ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონოდა მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები რადგან რეკომენდაციები არ ფიქსირდებოდა:

1. სასურველია, მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება.
2. სასურველია, გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები იმგვარად, რომ სტუდენტს ჰქონდეს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და სილაბუსებში მიეთითოს რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილ მინიმალურ ზღვარს.
3. სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ამოღებული იყოს შეფასების სისტემაში არსებული ჩანაწერი „დასკვნითი შეფასება არის კურსის სავალდებულო კომპონენტი“.
4. სასურველია, უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს მაღალტექნოლოგიური თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, რომლებიც აკმაყოფილებს საერთშორისო სტანდარტებს, და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.

ექპსერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამის მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა კვლევითი კომპონენტი, რომელიც საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი. დოქტორანტები აქტიურად იყვნენ ჩართული არა მხოლოდ საკუთარი ნაშრომის შესრულებაზე, არამედ კვლევითი პროექტების განხორციელებაშიც. კურსდამთავრებულები საკმაოდ წარმატებულები იყვნენ და აგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას ევროპისა და შტატების უნივერსიტეტებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მიქელაძემ განმარტა, ინსტიტუციის მოთხოვნა იყო რომ დოქტორანტმა უნდა გამოაქვეყნოს სტატია მაღალ რეიტინგულ ჯურნალში, ეს მოთხოვნა ავალდებულებს დაწესებულებას, რომ კვლევა იყოს თანამედროვე დონეზე განხორციელები. დოქტორანტები წარმატებით მუშაობენ საზვარგარეთ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, აღნიშნა რომ სადოქტორო კვლევებში ყველა იზიარებდა ზალცბურგის პრინციპებს, რომლებიც 2005 წელს იქნა დადგენილი, შემდეგ განმეორდა 2010 და 2015 წლებში და ინგლისურ ენაზე წაიკითხა მისი პირველი პრინციპი-„at the same time it is recognised that doctoral training must increasingly meet the needs of an employment market, that is wider than academia“. მან აღნიშნა, რომ ზალცბურგის პირველ პრინციპში იყო გაწერილი შრომის ბაზრის მოთხოვნები. გიორგი ღაღანიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სად იყო ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო ბაზრის ტენდენცია და აღნიშნული დოკუმენტაციის გარეშე როგორ განხორციელდა 1.1. ქვესტანდარტის შეფასება.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტის 5 წლიანი ხარჯთაღრიცხვა იყო წარმოდგენილი და ეს მისი მოსაზრებით არ იყო ბიუჯეტი და იყო გაწერილი ხარჯები. მან დამატებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციამ უნდა განსაზღვროს წარმოსადგენი ბიუჯეტის ნიმუში, რომ მოახდინოს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ისინი მიანიშნებენ ეკონიმიკურ მიღწევადობას და დაფარვის წყაროებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია ღაჭავამ აღნიშნა, რომ 1.1 ქვესტნდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული იქნა კმაყოფილების კვლევითი კითხვარის საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მიქელაძემ აღნიშნა, რომ დოქტორანტები შედარებით მცირე რაოდენობის იყვნენ პროგრამაზე ვიდრე მაგისტრები, ამიტომ ყველა დოქტორანტის შემდგომში განხორციელებული პროცესები დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ცნობილი იყო. მან აღნიშნა, რომ დოქტორანტები ძალიან მოთხოვნად ნაკადს წარმოადგენდნენ. მან დამატებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია კვლევებს ახორციელებდა გრანტების მოპოვების საშუალებით. ეს იყო შოთა რუსთაველის გრანტები და საზღვარგარეთიდან მოპოვებული გრანტები. მან ასევე აღნიშნა, რომ ინსტიტუციას კომუნიკაცია ჰქონდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებთან და ორმხრივი კვლევა ძალიან უმარტივებდა ინსტიტუციას კვლევების განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი გამოყოფდა შიდა ბიუჯეტიდან თანხას, იმ შემთხვევაში თუ არ იყო კონკრეტული გრანტით დაფინანსებული კვლევა. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება ითხოვდა დოქტორანტის ხელმძღვანელისგან ეჩვენებინა ფაკულტეტის საბჭოსთვის, ის რომ შესაბამისი კვლევა არის დაფინანსებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა, მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის, აგრეთვე სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკისა და ინდიკატორების თაობაზე აღნიშნა, რომ სტანდარტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ სტდანრატი ითხოვდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა ვერ გამოდგება შრომის ბაზრის მოთხოვნების დასადგენად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ სადოქტორო საფეხურზე დაწესებულებას ჰყავდა ჩართული ბაქტერეოფაგი, ვლადიმერ ბახუტაშვილის ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტი და ერთ-ერთი უნივერსიტეტი. რადგან ეს პროგრამა იყო სადოქტორო, მნიშვნელოვან წილად მხარს უჭერდა ილიას უნივერსიტეტის კვლევითი ინსტიტუტი, ბიოქიმიის ინსტიტუტი, ეს ინსტიტუტი არის უნივერსიტეტის მიერ დაარსებული და მნიშვნელოვანი რესურსები იდება მასში. ამ პროგრამას უშუალოდ ეს ინსტიტუტი ახორციელებდა. მან განმარტება გააკეთა პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მარტო სამაგისტრო ნაშრომით არ განისაზღვრებოდა სწავლის შედეგები, ნაშრომები იყო გამოქვეყნებული საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. დაწესებულება მიიჩნევს, რომ ეს იყო პირდაპირი სწავლის შედეგი. იდნიკატორები დაწესებულების განმარტებით, სამიზნე ნიშნულების დოკუმენტში და ამავდროულად რუკაშიც იყო შესაბამისობები აღწერილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:25
დასრულების დრო: 17:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
4. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები:
1. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური ზღვრები იმგვარად, რომ სტუდენტს ჰქონდეს განმეორებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და სილაბუსებში მიეთითოსცრა ხდება იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ გადალახავს შუალედური შეფასებისთვის განკუთვნილ მინიმალურ ზღვარს;
2. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ამოღებული იყოს შეფასების სისტემაში არსებული ჩანაწერი „დასკვნითი შეფასება არის კურსის სავალდებულო კომპონენტი“;
3. სასურველია, უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს მაღალტექნოლოგიური თანამედროვე ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც აკმაყოფილებს საერთშორისო სტანდარტებს, და უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტებისთვის აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოქიმია და მოლეკულური ბიოტექნოლოგიის" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	17.10.2011 N98
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: ფიზიკა, ბიოლოგია, ეკოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიოლოგიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0511 - ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240 ECTS

14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელენე ჟურავლიოვამ მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

17:35 საათზე, საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა დატოვა აკრედიტაციის საბჭოს სხდომა

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ლევან ციცქიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 26 მარტს ცენტრის ორგანიზებით zoom პლატფორმის საშუალებით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების შეხვედრა, რომელზედაც მოხდა დოკუმენტაციის წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საინსტიტუციო ვიზიტისთვის სავარაუდო კითხვების შემუშავება. 2021 წლის 29-30 მარტს ასევე zoom პლატფორმის საშუალებით განხორციელდა online აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი (მათ შორის ბიოლოგიის საბაკალავრო) საგანმანათლბლო პროგრამის განხილვის მიზნით. ჩატარდა შემდეგიშეხვედრები: შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; შეხვედრა პროგრამის

თვითშეფასების ჯგუფთან; შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან; შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; შეხვედრა სტუდენტებთან; შეხვედრა კურსდამთავრებულთან; შეხვედრა დამსაქმებლებთან; შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება. მეორე სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია.

სსიპ - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. გადაიხედოს პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის („ზოგადი ჰისტოლოგია“, „ზოგადი ემბრიოლოგია“, „მცენარეთა ფიზიოლოგია“) სტატუსი;
2. გადაიხედოს კურსების სემესტრული განაწილება და დაშვების წინაპირობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა დასკვნაში არსებული რჩევები:

1. სასურველია, პროგრამისმ ენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წინაშე ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ;
2. სასურველია, გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთ სილაბუსში („ზოგადი ემბრიოლოგია“, „კონსერვაციული ბიოლოგიის შესავალი“, „ადამიანის ანატომია“, „უჯრედის ბიოლოგია“) მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
3. სასურველია, კურიკულუმში საველე პრაქტიკის ჩართვა;
4. სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად;
5. სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.

ლევან ციცქიშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ გაურკვეველი იყო ისეთი მნიშვნელოვანი კურსებისათვის, როგორებიცაა მცენარეთა ფიზიოლოგია, ადამიანის ანატომია, ზოგადი ემბირონოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია სავალდებულო არჩევითი კუსრების სტატუსის

მინიჭება. ექსპერტებს მიაჩნიათ,რომ აღნიშნული კურსები იყო მნიშვნელოვანი, ნებისმიერი პროფილის ბიოლოგიისთვის, მიუხედავად მიკროსპეციალობისა, ასევე გაუგებარი იყო რატომ იქნა მითითებული არგუმენტირებულ პოზიციაში, იმაზე, რომ მხოლოდ ადამიანი არ წარმოადგენდა ბიოლოგიური კვლევის ობიექტს მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება გამახვილებული იყო ფიზიოლოგიაზე, ემბრიოლოგიაზე, ცხოველების განვითარებაზე. ამავე ქვესტანდარტში ექსპერტების მიერ გამოთქმული რეკომენდაცია, რომლის მიხედვით უნდა გადაიხედოს კურსების სემესტრული გადანაწილების დაშვების წინაპირობები. მეოთხე სემესტრში სტუდენტები გადიან სავალდებული კურსს, ბიოქიმია ამავე დროს შეუძლიათ აირჩიონ ორგანული ქიმია. ორგანული ქიმიის კურსი წარმოადგენდა ერთგვარ წინაპირობას, ბიოქიმიის კურსისა. მან განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფისათვის არ იყო მართებული, სტუდენტის მიერ ორივე კურსის ერთ სემესტრში არჩევა. ასევე წარმოადგინეს ციტატები უნივერსიტეტის არგუმენტირებული წერილიდან,'' ქიმიის სასწავლო კურსის დაძლევადობისთვის საკმარისია წინაპირობა, სასწავლო კურსი ქიმიის საფუძვლები, რომელიც ამჟამად არის განსაზღვრული პროგრამაში. კურსი ქიმიის საფუძვლები, ძირითადად წარმოდგენილია არაორგანული ქიმიის თემებით: ქიმიის საგანი, შესავალი, ქიმიური ელემენტები, ნივთიერებები, სტოკჰომეტრიის ძირითადი ცნებები, ატომის აღნაგობა, პერიოდული სისტემა, ქიმიური ბმები, ქიმიური კინეტიკა, წყალი, ხსნარები, ელექტრონული დისოციაცია, მჟავები, ჰიდროქსიდები, მეტალები, არამეტალები. აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქიმიის საფუძვლები, რომელიც არგუმენტირებულში იყო ნახსენები, როგორც ბიოქიმიის წინაპირობა საფუძველს მოკლებული იყო. ორგანული ქიმია დააცილონ სემესტრულად ბიოქიმიას და გასაზღვრონ ბიოქიმიის წინაპირობად. 2.3 სტანდარტთან შემუშავებული რეკომენდაცია დაკავშირებული იყო კურიკულუმის საველე პრაქტიკის ჩართვის თაობაზე. მიუხედავად ქვეყანაში არსებული ვიწრო სპეციალიზაციის სწავლების დეფიციტისა, წარმოდგენილი პროგრამა არის წინგადადგმული ნაბიჯი ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, ბიოლოგიის მულტიდისციპლინარულ ასპექტს, ველზე მუშაობის პრაქტიკა მხოლოდ წაადგება ნებისმიერი პროფილის ბიოლოგს, მიუხედავად ვიწრო სპეციალიზაციისა და ამ საველე პრაქტიკის სრულად იგნორირება ბიოლოგიის პრაქტიკაში ექსპერტთა ჯგუფს არ მიაჩნდათ მიზანშეწონილად. გათვალისწინებულ იქნა უნივერსიტეტის არგუმენტები, გამოვლინდა რომ საველე პრაქტიკული კომპონენტების სხვა კურსების ინტეგრირებული ნაწილია და პროგრამა გადის შესაბამის შედეგზე საველე პრაქტიკის ცალკე გამოყოფის გარეშეც. აღნიშნული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევებში. პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული. არსებობს მინისტრის ბრძანება, რომლის თანახმად გამიჯნული იყო სწავლების მეთოდები, ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული. რადგან შესაბამისი სტანდარტის სწავლების მეთოდების აღწერილობას ეხებოდა გაჩნდა შესაბამისი რეკომენდაცია, თუმცა მიაჩნია ექსპერტთა ჯგუფს რომ ეს გამიჯვნა იყო ხელოვნური ხასიათის, რადგან არსებით არ ცვლის საქმეს. აღნიშნული რეკომენდაცია გადატანილი იქნა რჩევებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მიქელაძემ აღნიშნა, რომ ბიოლოგია იმდენად მრავალფეროვანი დარგი იყო, რომ აბსოლუტურად განსხვავებული საგნები ისწავლებოდა. ინსტიტუციამ ორიენტაცია აიღო მოლეკულური ბიოლოგია, იმუნოლოგია, მიკრობიოლოგია, აღნიშნული იყო მოლეკულურ დონეზე. შედარებით ნაკლები ყურადღება მიანიჭა დაწესებულებამ აღწერით საგნებს და დარგებს. სწორედ ამიტომ ამოვარდა ისეთი საგანი როგორიც არის ჰისტოლოგია. ემბრიოლოგიას შეიტანდა დაწესებულება, რომ იყოს

მოლეკულური ბიოლგიური დონეზე განხილული. რაც შეეხება იმას, რომ ორგანული ქიმია წინ იყოს ბიოქიმიაზე. ბიოქიმიაში დაწესებულება ასწავლიდა ორგანული ქიმიის ფრაგმენტებს, რომელიც სრულიად საკმარისი იყო ბიოქიმიის ასათვისებლად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნების მაგიერ წარმოდგენილი იყო კურსდამთავრებულთა გამოკვლევა. კურსდამთავრებულთა გამოკვლევა შრომის ბაზარი მოთხოვნებს ვერ დაადგენდა, თუმცა ის ვერც კურსდამთავრებულთა მდგომარეობას ვერ დაადგენდა, რადგან ჩატარებული იყო 2018 წლის მაის-ივნისში. მისი შეფასებით ეს საკმაოდ არარელევანტური იყო, საერთო გამოკითხვაში საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის სტუდენტები იყო 6 პროცენტი.აღნიშნული გიორგი ღაღანიძს შეფასებით ელემენტარულ ვალიდაციას ვერ უძლებდა. შრომის ბაზრის კვლევა არის სტდანარტის მოთხოვნა. გიორგი ღაღანიძემ მოუწოდა დაწესებულებას აღნიშნულ საკითხს მეტი პასუხისმგებლობით შეხედონ. ბიუჯეტთან დაკავშირებით ისევ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ხარჯთაღრიცხვა. საჭირო იყო სტანდარტის მიხედვით, გაწერილიყო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაღანიძემ, აღნიშნა რომ გაეცნო დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფის ანალიზსა და დამსაქმებლის მიერ პროგრამის შეფასებას. პირველ დოკუმენტში საბჭოს წევრის ყურადღება მიიპყრო სამი რესპოდენტის კვლევამ და მიმართა კითხვით თუ რამდენად საკმარისი იყო სამი რესპოდენტის გამოკითხვა. მან დამატებით აღნიშნა, რომ დამსაქმებელი კომუნიკაცია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ბაზრის კვლევით. დამსაქმებელი შეიძლება უფრო სიღრმისეულად იყოს ჩართული პროგრამის განხორციელებაში. საჭირო იყო უფრო ფართომასშტაბიანი დოკუმენტის მომზადება, რომელიც დაეხმარებოდა ქვეყანას და რეგიონს გამოწვევების შესწავლაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნისნა, რომ სტანდარტი ითხოვდა მიზნების და სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკას, რომელიც მოცემული წესით უნდა იყოს გაწერილი. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთებოდა სტდანდარტის სრულად გათვალისწინება.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმა იყო აგებული ისე რომ ყველა საგანი მათ შორის საბაკალავრო ნაშრომი იყო 6 კრედიტიანი, თუმცა საკონტაქტო საათები განსხვავებული. აღნიშნულმა ხომ არ გამოიწვია საბაკალავრო პროგამაში საგნების შემცირება. რადგან 6 კრედიტი როდესაც არის რა თქმა უნდა რაოდენობაც მწირია. მაკა კაჭარავამ სილაბუსებიდან გამომდინარე აღნიშნა, რომ გამოყოფილი იყო 2 საკონტაქტო საკუნსულტაციო საათი, განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ აისახებოდა სასწავლო გეგმაში. შეკითხვა, მაკა კაჭარავამ მიმართა კითხვით თუ რამ გამოიწვია უნიფიცირებული მიდგომა კრედიტების განაწილებასთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით იყო წარმოდგენილი ანალიზი, ჰყავდათ ბაქტერიოფაგი, ჩაფიძისა და ტატიშვილის ლაბორატორიები და დაწესებულების მოსაზრებიტ მათი უკუკავშირი იყო ძალიან

მნიშვნელოვანი პროგრამისათვის. ნინო ჟვანიამ აღნიშნა, იმისთვის რომ განისაზღვროს პროგრამის შედეგები სამი რესპოდენტის კვლევა საკამარისი იყო. რაც შეეხება კურსდამთავრებულთა გამოკითხვას, ეს იყო პერიდოული გამოკითხვები. პროგრამის დასრულების შემდეგ ინსტიტუცია მინიმუმ 1 წლის შემდეგ ატარებდა გამოკითხვას. მათი მოსაზრებით საჭირო იყო გარკვეული დროის გასვლა, რათა სტუდენტის მხრიდან მოხდეს მნიშვნელოვნად საჭირო ინფორმაციის მიღება და შეფასება. ნინო ჟვანიამ დამატებით აღნიშნა, რომ ამ პროგრამასთან მიმართებით არ შეიძლებოდა დასმულიყო კითხვა, იმის შესახებ რომ მიზანი არ შეესაბამებოდა სწავლის შედეგებს.

რაზეც საბჭოს წერვმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ შეფასების სწავლის შედეგების რუბრიკა, რომელსაც აკრედიტაციის სტანდარტი ითხოვდა არ იყო ჯეროვანი სახით წარმოდგენილი. ინსტიტუციას წარმოდგენილი ჰქონდა რუბრიკა, სადაც ჩაშლილი იყო საგნების ჩამონათვალი, ისევე როგორც სწავლის შედეგების ჩამონათვალი. რაც შეეხება ინდიკატორებს, ის ჯამში წარმატებით ან წარუმატებლად რამდენმა სტუდენტმა დაასრულა კურსი ამას აღნიშნავს. რამდენი შეფასებით იქნება სამი თუ ხუთი ეს არის დაწესებულების გადასაწყვეტი. სწორედ აღნიშნულ ინდიკატორებზე ჰქონდა საუბარი საბჭოს წევრს, რომელიც არცერთ პროგრამასთან მიმართებით არ იყო წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ჟვანიას განმარტებით სტანდარტით არ გაწერილი, რომ ინდიკატორები უნდა წარმოადგინოს ინსტიტუციამ, სტანდარტში აღნიშნულია რომ უნდა ჰქონდეს ინსტიტუციას პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი, სწავლის შედეგების ინსტრუმენტები, კურიკულუმის რუკა, სამიზნე ნიშნულები, საგანმანათლებლო პროგრამა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა, ინტერვიუები. ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ ინსტრუმენტები ძალიან მრავაფეროვანი იყო, შეიძლება იყოს ნაშრომი, პორტფოლიო, კურსები. მთავარია ის თუ ეს კურსები როგორ ებმის სწავლის შედეგებს. როდესაც დაწესებულება სწავლის შედეგების განსაზღვრას ცდილობს, უყურებენ იმას თუ რომელი კურსია ის კომპონენტი, სადაც ყველაზე მეტად არის აკუმულირებული სწავლის შედეგები.სამაგისტროზე ეს არის სამაგისტრო ნაშრომი,საბაკალავროზე არის სხვადასხვა კომპონენტები. ძირითადად დაწესებულება იღებს ბოლო კურსებს. სწავლის შედეგით დაწესებულება არ ზომავს სტუდენტის წარმატებას, აღნიშნულით განისაზღვრება პროგრამა. რუბრიკები გაწერილია უშუალოდ იმ კურსების კომპონენტებში, თუ რა კრიტერიუმებს ვუყურებთ. თუ ვზომავთ თეორიულ ცოდნას, უყურებენ იმას რამდენად აქვს საბაზო კომპეტენცია. სხვადასხვა პროგრამაში გამოყენებული იყო სხვადასხვა ინსტრუმენტები.

ნინო ჟვანიამ 6 კრედიტიან კურსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იყო სახელმძღვანელო რომელიც ადგენდა მიდგომებს და პრინციპებს, როგორ შეიძლებოდა გამოყენებული იქნას pcts საგანმანათლებლო პროცესში. აღნიშნული იყო პირობითი ცნება და განსაზღვრავდა მოცულობას. სახელმძღვანელო ამბობს, რომ უმჯობესი იქნებოდა თუკი კურიკულიმი იქნება დადარებადი ერთმანეთთან და იქნება ეკვივალენტური ერთეულებით დატვირთული. მათი მოსაზრებით პროგრამის კურიკულუმი არის სინქრონიზილებული. ყველა პროგრამას არ ჰქონდა 6 კრედიტიანი საგნები, არსებობდა კურსები სადაც ვარირებულია კრედიტების რაოდენობა ეს გამომდინარეობდა პროგრამის სპეციფიკიდან. მაგალიტად სამოქალაქო ინჟინერიაში, რომელიც 240 კრედიტზე მეტი კურსების მოცულობის იყო, ბევრად ვარირებული იყო კრედიტები. სინქრონიზაცია დაასახელა ყველაზე მნიშვნელოვნად და მოცულობების გათვლა.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულებას, საველე პრაქტიკასთან დაკავშირებით. განიხილავდა თუ არა ინსტიტუცია, რომ არჩევის

საშუალება მისცეთ სტუდენტებს, უმჯობესი იქნებოდა ბიოლოგიის სტუდენტებს ჰქონდეს ბიოლოგიის საველე პრაქტიკა არჩევით საგანში.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ დამაზუსტებელი შეკითხვით მიმართა დაწესებულებას ბიოქიმიასა და ორგანულ ქიმიასთან დაკავშირებით, ინსტიტუცია არ ეთანხმებოდა რეკომენდაციას, იმასთან დაკავშირებით რომ წინაპირობა განისაზღვროს დამატებით ორგანული ქიმიის სახით.

დაწესებულების წარმომადგებელმა, დავით მიქელაძის განმარტებით, ალკანები და ალკინები საერთოდ არ იყი საჭირო ბიოქიმიაში. იმ ნაწილს, რომელიც აუცილებელი პირობაა ბიოქიმიკოსისათვის რა თქმა უნდა ისწავლებოდა. მან აღნიშნა, ისიც რომ სტუდენტებისთვის მარტივად დასაძლევი იყო საგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლალი შანშიაშვილმა აღნისნა, რომ როდესაც განიხილავენ ცილებს ეს თუ არ დაიწყო სტრუქტურით, რასაც ორგანული ქიმია ასწავლის ვერ დაიწყებს ფუნქციაზე საუბარს. ძირითადი სწავლების მეთოდია დაანახონ სტუდენტებს სტრუქტურა და კონცეფცია როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. სტრუქტურის ცვლილებით ფუნქცია იცვლება. ბიოქიმიაში ფაქტობრივად აცოცხლებენ მოლეკულებს და ფუნქციაში უყურებ, შემდგომ პათოლოგიაში და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა აღნიშნა, რომ კურსებს, რომელიც ეხება ზოოლოგიას, ბოტანიკას, ეკოლოგიას ყველას გააჩნია ძლიერი საველე კომპონენტი, რომელიც არის გამოცდილებით ბევრად უფრო ეფექტური ვიდრე ტრადიციული საველე პრაქტიკა. საველე პრაქტიკა არის საგანი, რომელიც გადის გარკვეულ შედეგზე. რაც ეხება ბოტანიკას იქ სტუდენტები ეცნობიან მცენარეებს. ეკოლოგიის კურსს რაც შეეხება, სტუდენტები გადიან და ასრულებენ ჯგუფურ დავალევას, აღწერენ ბიოლოგიურ მრავალფეროვნებას კონკრეტული ადგილისა.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს რატომ არ შეიძლება ბიოლოგიის პროგრამისთვის იყოს არჩევითი საველე პრაქტიკის საგნები.

რაზეც,დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მიქელაძემ განაცხადა, როომ თუ სტუდენტის მხრიდან იქნებოდაა სურვილი შესაძლებელია მოხდეს აღნიშნულის არჩევით საგნად აღება.ზოოლოგია და ბოტანიკა არის სავალდებულო საგანი თავისი საველე კომპონენტით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:30
დასრულების დრო: 18:45

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა

როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება;
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
4. რეკომენდირებულია, გადაიხედოს პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (ზოგადი ჰისტოლოგია, ზოგადი ემბრიოლოგია, მცენარეთა ფიზიოლოგია) სტატუსი;
5. რეკომენდირებულია, გადაიხედოს კურსების სემესტრული განაწილება და დაშვების წინაპირობები. (იხილეთ ექსპერტთა დასკვნა გვ.11-12);
6. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები:
1. სასურველია კურიკულუმში საველე პრაქტიკის ჩართვა;
2. სასურველია, პროგრამის მენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წინაშე ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ;
3. სასურველია, გადაიხედოს და განახლდეს ზოგიერთ სილაბუსში „ზოგადი ემბრიოლოგია“, „კონსერვაციული ბიოლოგიის შესავალი“, „ადამიანის ანატომია“, „უჯრედის ბიოლოგია“) მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
4. სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად;
5. სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ

უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

მეხუთე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	17.10.2011 N101
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა (ეკოლოგია, მოლეკულური ბიომეცნიერებები, ბიოფარმაცია, ნეირომეცნიერებები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. მეცნიერებათა მაგისტრი მოლეკულურ ბიომეცნიერებებში; 2. მეცნიერებათა მაგისტრი ნეირომეცნიერებებში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0511 - ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120 ECTS
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15		-

	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
ელენე ჟურავლიოვამ მეხუთე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

19:14 საათზე, საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი შემოუერთდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ლევან ციცქიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 26 მარტს ცენტრის ორგანიზებით zoom პლატფორმის საშუალებით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების შეხვედრა, რომელზედაც მოხდა დოკუმენტაციის წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საინსტიტუციო ვიზიტისთვის სავარაუდო კითხვების შემუშავება. 2021 წლის 29-30 მარტს ასევე zoom პლატფორმის საშუალებით განხორციელდა online აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი (მათ შორის ბიოლოგიის საბაკალავრო) საგანმანათლბლო პროგრამის განხილვის მიზნით. ჩატარდა შემდეგიშეხვედრები: შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; შეხვედრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან; შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; შეხვედრა სტუდენტებთან; შეხვედრა კურსდამთავრებულთან; შეხვედრა დამსაქმებლებთან; შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ფარგლებში

ასევე მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება. მეორე სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია.
სსიპ - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები)" სამაგისტრო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რა სპეციალობებისა და კომპეტენციების მქონე პირებს შეუძლიათ პროგრამაზე ჩაბარება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე მიმოიხილა დასკვნაში არსებული რჩევები:

1. სასურველია, სასწავლო კურსს „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტატუსი პროგრამის ორივე მიმართულებისთვის.
2. სასურველია, პროგრამის მენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ფაკულტეტის ადმინისტრაციის წინაშე ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ.
3. სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად.
4. სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლება-სწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ლევან ციცქიშვილმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავევულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებდა, რაც ექსპერტმა მათ პრეროგატივად შეაფასა. ლევან ციცქიშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობებში არ იყო დაკონკრეტებული რომელი კომპეტენციენის მქონე სტუდენტის მიღება იყო შესაძლებელი აღნიშნულ პროგრამაზე. დაწესებულებისთბის მთავარი არსი მდგომარეობდა რომ არ ყოფილიყო შეზღუდვა იმ სტუდენტების მიმართ, რომლებსაც არ ჰქონდა კომპეტენცია ბიოლოგიის მიმართულებით. მან დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში, ინტერვიუების დროს დაწესებულების მხრიდან მოისმინა ექსპერტთა ჯგუფმა, რომ სრულიად განსხვავებული სპეციალობის მქონე სტუდენტებმა გაიარეს სამაგისტრო პროგრამა, წარმატებით დაასრულეს და მიიღეს შესაბამისი ხარისხი. ნაწილობრივ ეს ასპექტი

გათვალისწინებული იყო, იმიტომ რომ შემოთავაზებული იყო, ეგრეთწოდებული ''რემედიალ'' კურსები, თუმცა ექსპერტთა მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა, რომ კონკრეტიკა ყოფილიყო აღნიშნულთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ სოლომონიამ განმარტა, როგორც პროგრამაზე მიღების დოკუმენტშია მითითებული, ყველა აპლიკანტი აბარებს მისაღებ გამოცდას, სადაც ხდება მისი დარგობრივი ცოდნის შეფასება მიმღები კომისიის მიერ. აღნიშნული შერჩევის მექანიზმი უზრუნველყოფს პროგრამაზე საბაზო დარგობრივი ცოდნის მქონე აპლიკანტის ჩარიცხვას. მან დამატებით აღნიშნა, რომ 13 წლის განმავლობაში სხვა კვალიფიკაციის მქონე მხოლოდ 3 სტუდენტს ჰქონდა აღნიშნული პროგრამა გავლილი და ძალიან წარმატებით დასრულები.
რაზეც, საბჭოს წევრმა, ნინო იმნაძემ აღნიშნა, რომ მსგავსი პრაქტიკა არ უნდა დანერგილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ სამი დამსაქმებლის გამოკითხვა არ იძლეოდა შრომის ბაზრის მოთხოვნების რელევანტურ სურათს. იგივე დამსაქმებლები იყვნენ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამაზეც. მან დამატებით აღნიშნა, რომ ბიუჯეტი წარმოდგენილი იყო ხარჯთაღრიცხვის ელემენტარული ფორმით, რაც არ იძლეოდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რამდენად საკმარისი იყო სამაგისტრო საფეხურზე B1 დონის უცხოენის ჩაბარება, როდესაც საბაკალავრო საფეხურს ამთავრებს B2 დონის უცხოენის ცოდნით.

მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ როდესაც აღნიშნულ პროგრამას ენიჭებოდა, ორი კვალიფიკაცია და იყო ორი კონცენტარციის მოცემულობით, პროგრამას გააჩნია შვიდი შედეგი. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით კონცენტრაციების შედეგები უნდა გაიწეროს ცალ ცალკე. განსაკუთრებით როდესაც პროგრამა ორ კვალიფიკაციაზე გადის. აღნიშნულთან დაკავშირებით მაკა კაჭარავამ მიმართა დაწესებულებას წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის შემთხვევაში არ ითხოვდნენ კომუნიკაციის უნარს ინგლისურ ენაზე. სტუდენტისთვის პროგრამის წარმატებით დასაძლევათ საჭირო იყო, რომ მათ შეძლონ დარგობრივი ტექსტის წაკითხვა და გამოყენება კვლევისა ან დავალებისათვის. დარგობრივი კომპეტენციისთვის მკაფიოდ განსაზღვრული B1 დონის ცოდნა სავსებით საკმარისი იყო, რასაც ასევე ადასტურებდა ევროპის ენათა ჩარჩო. რაც შეეხება, სწავლის შედეგებს, დაწესებულება შეეცადა რომ ეს სპეციფიკა გაეთვალისწინებინათ პროგრამაში. სწავლის შედეგები იყო ჩამოყალიბებული 7 საკითხად, თუმცა თუ ეს არ არის ტრანსფერული შედეგები, იქ დაზუსტებული იყო სფერო კონკრეტული კონცენტრაციის შემთხვევაში. მაგალითად მესამე სწავლის შედეგში გაწერილია, რომ: ''შეუძლია მოლეკულური

ბიომეცნიერებების ან ნეირომეცნიერებების მიმართულებით კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. პირველ სწავლის შედეგიც გააცნო დაწესებულებას, რის შედეგადაც აღნიშნა, რომ ერთ სწავლის შედეგში იყო დივერსიფიცირებული კონცენტრაციები. სწავლის შედეგები არ აქვთ დაყოფილი კომპეტენციების მიხედვით, არამედ კუმულირებული სახით იყო წარმოდგენილი.

რაზეც საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ კონცეტრაცია უნდა იყოს ცალკე გაწერილი იმ საგნების მოცულობით სავალდებულო შინაარსით, ფორმას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა.

დაწესებულების წარმომამდგენლის, ნინო ჟვანიას გამარტებით, იდენტიფიცირებული იყო ის კონკრეტული კომპეტენციები, რომლებიც საჭირო იყო, მაგალითად პირველი სწავლის შედეგში ძალიან მკაფიოდ იყო გაწერილი თუ რამდენად სიღრმისეული ცოდნა ექნებოდა სტუდენტს ნეირომეცნიერებებისა და ბიომეცნიერებებისათვის. კვლევის უნარი, ეს არის მოდიფიცირებული უნარი სამაგისტრო საფეხურზე, მაგრამ მითითებულია პირდაპირ, რომ სტუდენტს ''შეუძლია მოლეკულური ბიომეცნიერებების ან ნეირომეცნიერებების'' შესახებ ცოდნის გაღრმავება. ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ სტუდენტს აღნიშნული კონცენტრაციით შეუძლია გააკეთოს სამაგისტრო კვლევა. სწავლის შედეგების დონეზე იდენტიფიცირება მოხდა იმ კომპეტენციების და სწავლის შედეგების, რომელიც ჭირდება თითოეულ კონცენტრაციას, ეს წერია შვიდივე საკითხში. სწავლის შედეგები დაწესებულებას არ ჰქონდა გაწერილი ინდივიდუალური კომპონენტების დონეზე, პროგრამის სწავლის შედეგი კუმულირებული იყო შესაბამისად წარმოდგენილი იყო აღნიშნული სახით. დაწესებულება მიიჩნევს, რომ ისინი არ ეწინააღმდეგებიან და არ არღვევენ ბრძანებას. სტუდენტი როდესაც მოდის მან იცის რომ მას არ ექნება ზოგადი ცოდნა ნეირომეცნიერებებსა და მოლეკულურ ბიომეცნიერებებში, არამედ ეცოდინება კონკრეტულად რა შედეგზე გავა პროგრამის გავლის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სტანდარტი ითხოვდა მიზნების და სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკას, რომელიც მოცემული წესით უნდა იყოს გაწერილი. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკვეთებოდა სტდანდარტის სრულად გათვალისწინება. მან დამატებით აღნიშნა და აკრედიტაციის სახელმძღვანელოს გვ.16-17-ზე, ნიმუშის სახით მოტანილ შეფასების რუბრიკა წარმოადგინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ ეს არ იყო სავალდებულო ხასიათის სახელმძღვანელო.

საბჭოს წევრმა, ნინო ინასარიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს რამდენად საკმარისი იყო B1 დონის უცხოენის ცოდნა, რადგან მისი მოსაზრებით აღნიშნული არ იყო საკმარისი.

საბჭოს წერვმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას უნდა ემოქმედა საქართველოს კანონმდებლობით, რადგან ნებისმიერი სტუდენტი, ნებისმიერ პროგრამას საბაკალავრო საფეხურზე ასრულებდა B2 დონის უცხოენის ცოდნით.

ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ არ არსებობდა მსგავსი ჩანაწერი საქართველოს კანონმდებლობაში, სადაც იყო გაწერილი რომ უნივერსიტეტი უშვებდა სტუდენტს B2 დონის ცოდნით. ყველა სტუდენტი B2 დონეზე არ ამთავრებდა უნივერსიტეტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით თარხნიშვილმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო ენა, რომელიც სამეცნიერო სტატიებში გამოიყენება არის გაცილებით უფრო მარტივი ვიდრე ინგლისური ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ სოლომონიამ აღნიშნა, რომ როდესაც სტუდენტი აბარებს აღნიშნული პროგრამის სამაგისტრო საფეხურზე იწყებენ კურსს მოლეკულური ბიოლოგიის რჩეული თემები, 1 თვეში სტუდენტმა უკვე უნდა გააკეთოს პრეზენტაცია ახალი სტატიების მიხედვით, თუ სტუდენტისთვის რთულად დასაძლევი იქნება უცხოური მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება, დაწესებულება აძლევს სტუდენტებს საშუალებას გაიარონ სპეციალური არჩევითი უცხოენის კურსი, რომელსაც ახორციელებს ლექტორი, რომელსაც აქვს მეორე დიპლომი ინგლისური ენის. მან დამატებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე მიღების დოკუმენტში მითითებული არის ენის კომპეტენციის ზღვარი, თუ ვერ დადასტურდა და სტუდენტმა ვერ აჩვენა ენის კომპეტენცია არ მიიღება პროგრამაზე.

საბჭოს წერვმა, გიორგი ღაღანიძემ სთხოვა წარმოედგინათ თუ რომელი სპეციალისტები და კვლევები ადასტურებდნენ B1 დონის უცხო ენის ცოდნის საკმარისობას.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ჟვანიას განმარტებით აღნიშნულს ადასტურებდა ენის სპეციალისტები და საერთაშორისო ექსპერტი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ თუ სკოლადამთავრებული B1 დონის უცხოენას უნდა ფლობდეს საბაკალავრო საფეხურზე, 4 წელი საბაკალავრო საფეხურზე რას უვითარებდა ინსტიტუტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განმარტა, რომ არ იღებენ ენის კომპეტენციებით, ენების კურსები მორგებული იყო ენათა ჩარჩოს მიხედვით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მიმართა კითხვით იმის შესახებ თუ რომელ დონეს ასწავლიდნენ უცხოენის სხვა სამიგისტრო პროგრამებში, რატომ არის ბიოლოგიებისთვის ნაკლებად საჭირო უცხო ენის ცოდნა.

დაწესებულების წარმომადგენლის, ნინო ჟვანიას განმარტებით ამ პროგრამაში სწავლება ინგლისურ ენაზე არ მიმდინარეობდა. როდესაც პროგრამა არის ინგლისურენოვანი მაშინ სტუდენტი უნდა მიიღოს ინსტიტუციამ B2 ან უფრო მაღალი დონით. სამაგისტრო საფეხურზე სწავლას აგრძელებს ძალიან ბევრი სხვა უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის დამთავრებული სტუდენტი.

საბჭოს წერვა, დიანა მჭედლიშჭვილმა აღნიშნა, რომ საბაკალავრო პროგრამა უცხო ენების პაკეტს ითვალისწინებს. ინსტიტუციების უმეტესობა, სტუდენტები ასრულებს საბაკალავრო საფეხურზე სწავლას B2 დონის ინგლისურით. დარგობრივი მიმართულებითაც ვერ ვითარდება სტუდენტი თუ არ იცის ინგლისური ენა. სწორედ ამიტომაა აქცენტი აღნიშნულზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:15
დასრულების დრო: 19:45

20:00 საათზე საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დატოვა საბჭოს სხდომა.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია, თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები იქნას წარმოდგენილი ცალ-ცალკე;
2. რეკომენდირებულია, მოხდეს პროგრამის მიზნის ჩაშლა რამდენიმე ნაწილად და პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
4. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
5. რეკომენდირებულია პროგრამის მიღების წინაპირობაში ინგლისური ენის ცოდნის დონე მოვიდეს შესაბამისობაში სწავლების საფეხურთან;
6. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები:
1. სასურველია, სასწავლო კურსს „სტატისტიკა ბიოლოგებისთვის“ მიენიჭოს სავალდებულო კურსის სტატუსი პროგრამის ორივე მიმართულებისთვის;
2. სასურველია, პროგრამის მენეჯმენტმა დააყენოს საკითხი ყველა კურსისთვის 6 ECTS მინიჭების უნივერსალური ხასიათის მიზანშეუწონლობის შესახებ;
3. სასურველია, რომ სილაბუსებში სწავლის შედეგები დაჯგუფდეს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად;
4. სასურველია, რომ პროგრამის აღწერილობაში და სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლების-სწავლის მეთოდები სრულად იყოს ჩამოთვლილი, ხოლო სწავლებასწავლის მეთოდები და მათთან დაკავშირებული აქტივობები იყოს გამიჯნული;

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (მოლეკულური ბიომეცნიერებები, ნეირომეცნიერებები) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

მეექვსე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი,ნომერი და ვადა	17.10.2011 N103
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობა	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება	0511 - ბიოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60 ECTS
14	განხორციელების ადგილი	გ. წერეთლის N3, 0162 თბილისი, საქართველო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის G კორპუსი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ელენე ჟურავლიოვამ მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ლევან ციცქიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 26 მარტს ცენტრის ორგანიზებით zoom პლატფორმის საშუალებით შედგა საექსპერტო ჯგუფის წევრების შეხვედრა, რომელზედაც მოხდა დოკუმენტაციის წინასწარი განხილვის შედეგად ჩამოყალიბებული შთაბეჭდილებების გაზიარება და საინსტიტუციო ვიზიტისთვის სავარაუდო კითხვების შემუშავება. 2021 წლის 29-30 მარტს ასევე zoom პლატფორმის საშუალებით განხორციელდა online აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამი (მათ შორის ბიოლოგიის საბაკალავრო) საგანმანათლბლო პროგრამის განხილვის მიზნით. ჩატარდა შემდეგიშეხვედრები: შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; შეხვედრა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელებთან; შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან; შეხვედრა სტუდენტებთან; შეხვედრა კურსდამთავრებულთან; შეხვედრა დამსაქმებლებთან; შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ვიზიტის ფარგლებში ასევე მოხდა პროგრამის განხორციელებისთვის გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სასწავლო აუდიტორიები, სასწავლო-კვლევითი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) ადგილზე დათვალიერება. მეორე სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა გამართა ძირითადი მიგნებების წინასწარი პრეზენტაცია.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რჩევები, რადგან რეკომენდაციები არ ფიქსირდებოდა:

1. გადაიხედოს და შეჯერდეს მეთოდური და ზოგადი კურსების სილაბუსები თემების გადაფარვის გამოსარიცხავად.
2. პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ბიო უსაფრთხოების სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბიო უსაფრთხოების პირველი (BSL 1) და მეორე (BSL 2) დონის ლაბორატორიების რეკონსტრუქცია, ბიოუსაფრთხოების დაცხოველთა მოვლის და შენახვის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ელენე ჩერქეზიამ აღნიშნა, რომ პირველი ერთი რჩევა ეხებოდა კურსების სილაბუსების გადაფარვას, რადგან სილაბუსების დათვალიერებისას რამდენიმე საგანში ნახეს გადაფარვა თუმცა დარჩა რჩევაში, რადგან თემების მიხედვით იყო გადაფარვა თუმცა ამ თემების გახსნა ხდებოდა გასნხვავებული აქსპეტებით ამ კურსებში.

სხდომის თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ სოლომონიამ აღნიშნა, რომ გადაფარვა იყო მაგრამ იყო ერთიდაიგივე საკითხის სხვადასხვა სახით წარმოდგენა. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ისინი ცდილობენ გადაფარვა იყოს მინიმალურად შემცირებული. რაც შეეხება მეორე რჩევას, აღნიშნა რომ უნივერსიტეტში არის უნიკალური ლაბორატორია, რომელიც ყოველ წელს განიცდის სერტიფიცირებას და აკმაყოფილებს ყველანაირ სტანდარტს. რაც შეეხება ცხოველთა შენახვის წესს და მოვლას, ისინი ცდილობენ ლაბორატორიები იყვნენ უმაღლეს დონეზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ნინო იმნაძემ მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს თუ სად იყო ტერიტორიულად აღნიშნული ლაბორატორიები.

რაზედაც დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ სოლომიან განაცხადა, რომ ბიოუსაფრთხოების მეორე დონის ლაბორატორია იყო G კორპუსის სარდაფში. აღნიშნული ლაბორატორია იყო ამერიკის მიერ გაღებული გრანტით დაფინანსებული.

ექსპერტმა, ლევან ციცქიშვილმა აღნიშნა, რომ ლაბორატორიების მხრივ არ ფიქსირდებოდა სეიოზული ხარვეზები, თუმცა, მაინც საჭიროებდა განახლებას და გარკვეულ სტანდარტებთან მიყვანას. აღნიშნული გასაუმჯობესებელია ქვეყნის მასტშტაბით და არა მხოლოდ უნივერსიტეტის მასშატაბით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ სამი დამსაქმებლის გამოკითხვა არ იძლევა შრომის ბაზრის მოთხოვნების რელევანტურ სურათს. იგივე დამსაქმებლები არიან სადოქტორო პროგრამაზეც. ბიუჯეტი წარმოდგენილია ხარჯთაღრიცხვის ელემენტარული ფორმით, რაც არ იძლევა პროგრამის ფინანსური მდგრადობის შეფასების შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა სწავლის შედეგთან მიმართებით კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მეექსვე სწავლის შედეგი: „აქვს სწავლებაში ეფექტური სწავლებისა და თანამედროვე მიდგომების გამოყენების უნარი'', რუბრიკაში ორი სილაბუსი იყო წარმოდგენილი. პროფესორის ასისტირების კურსი სრულად სწავლის შედეგზე გასვლის შესაძლებლობას არ იძლევა, ტრეინინგი კი არ იყო სავალდებულო.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ აღნიშნა, რომ პროფესიული განვითარების ტრეინინგები ორიენტირებული იყო აქტიურ სწავლების ფოკუსზე. ერთ-ერთი მათგანი იქნება სავალდებულო. ეს არის მოკლე ინტენსიური ტრენენგები, რომლებიც საერთაშორისო უნივერსიტეტებთან ერთად განხორციელდა. ისინი სთავაზობენ საჭირო გადამზადების კომპონენტებს. მონაცემთა ანალიზების 1 კვირიანი ან 2 კვირიანი ტრეინინგის გავლაც არის შესაძლებელი ინტიტუციის განმარტებით. სწავლის შედეგი მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით მიღწეულია. კრედიტებში არ განისაზღვრება ტრენინგი, პროგრამაში შეიძლება იყოს კომპონენტები, როგორც მაგალითად სტატია.

საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის მოსაზრებით მაგალითად მოხდა სტუდენტის ჩარიცხვა პროგრამაზე და აქვს სწავლების გამოცდილება მაგრამ ტრეინინგი არ გაუვლია, დაინტერესდა თუ რა ხდებოდა აღნიშნულ შემთხვევაში

დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ სოლომონიამ აღნიშნა, რომ ეს არის სავალდებულო კურსი.

რევაზ სოლომინიას აღნიშნა, რომ მისი მთავარი პრინციპია ჯერ თანხა და შემდგომ დოქტორანტი და არა პირიქით.

საბჭოს წევრმა, ანზორ ბერიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ სადოქტორო ნაშრომების შესახებ თავიანთი შეხედულება.

რაზეც, ექსპერტმა ელენე ჩერქეზიამ განმარტა, რომ შთაბეჭდილება დარჩათ ძალიან კარგი და მისცეს საკმაოდ მაღალი შეფასება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ 20:33 საათზე დატოვა საბჭოს სხდომა.

დაწყების დრო: 20:35
დასრულების დრო: 20:55

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. 4.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭოს ამ შეფასებებით სტანდარტების შესაბამისობის შეფასება დარჩა უცვლელი.

საბოლოოდ დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:
1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. რეკომენდირებულია პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის აგება;
3. რეკომენდირებულია, პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა.

რჩევები:
1. სასურველია, გადაიხედოს და შეჯერდეს მეთოდური და ზოგადი კურსების სილაბუსები თემების გადაფარვის გამოსარიცხავად;
2. პროგრამის ფარგლებში შესასრულებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ბიოუსაფრთხოების სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონლიად მიგვაჩნია ბიოუსაფრთხოების პირველი (BSL 1) და მეორე (BSL 2) დონის ლაბორატორიების რეკონსტრუქცია, ბიოუსაფრთხოების და ცხოველთა მოვლის და შენახვის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნტქის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ

უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მოლეკულური ბიოლოგია და ნეირომეცნიერებების" სადოქტორო საგანმანათებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 21:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ